საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის შესახებ 2025 წლის ანგარიშს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

სააგენტოში 2025 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა ორი განცხადება, რომლებსაც გაეცა პასუხი, ხოლო საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა და შესაბამისად უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

ვინაიდან სააგენტოში შემოსული განცხადება სრულად დაკმაყოფილდა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის - თეკლე შედანიას მიერ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

სააგენტოში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში. ხოლო პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:

სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან 2025 წლის განმავლობაში არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების არც ერთი ფაქტი.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

უარის თქმის თაობაზე სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

ვინაიდან, უარის თქმის თაობაზე სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა, შესაბამისი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

სააგენტოს მიერ არ გაღებულა მითითებულ საკითხებთან დაკავშირებული ხარჯები.